ჰოლოკოსტის სწავლება

პირველი ნაწილი

მოამზადა ნინო გვარამაძემ

ჰოლოკოსტის მძიმე გამოცდილება, თანამედროვე ანტი-სემიტიზმის საფრთხე, მსოფლიოში მშვიდობის კუთხით არსებული მძიმე ვითარება და მშვიდობიან მსოფლიოში ცხოვრების სურვილი იქცევს საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღებას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ინტერკულტურული განათლება, მშვიდობის სწავლება, გლობალური მოქალაქეობის განათლება და სხვა. ჰოლოკოსტის სწავლებაც ამ კონტექსტში განიხილება. რესურსების სერიაში განიხილება შემდეგი საკითხები:

1. რა არის ჰოლოკოსტი?
2. რატომ უნდა ვასწავლოთ ჰოლოკოსტი?
3. რა მიდგომა უნდა განხორციელდეს ჰოლოკოსტის ეფექტიანი სწავლებისთვის?
4. როდის დაიწყო ჰოლოკოსტი?
5. როგორ განვითარდა მოვლენები?
6. ვინ იღებდა მონაწილეობას ჰოლოკოსტში?
7. როგორ უნდა ვასწავლოთ ჰოლოკოსტი?

წინამდებარე რესურსი წარმოადგენს აღნიშნული სერიის პირველ ნაწილს.

1. რა არის ჰოლოკოსტი?

ჰოლოკოსტის სახელით ცნობილია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლებისა და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ებრაელების, ასევე ბოშების, ჰომოსექსუალებისა და სხვა უმცირესობების მასობრივი გენოციდი. განადგურებული იქნა 6 მილიონზე მეტი ებრაელი.

იგივე მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი **„შოა“.**

2. რატომ უნდა ვასწავლოთ ჰოლოკოსტი?

ჰოლოკოსტის, როგორც უნიკალური მოვლენის, სწავლება გულისხმობს მისი ისტორიის გაცნობის შესაძლებლობას. ეს ერთ-ერთი მიზანია, მაგრამ არა ერთადერთი. ჰოლოკოსტის მოვლენას გარკვეული პირობები უძღოდა წინ. ანალოგიური პირობების შექმნის მცდელობები არც დღეს არის გამორიცხული. იმისათვის, რომ ჰოლოკოსტის მსგავსი მოვლენები არ განმეორდეს, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმ წინაპირობებზე. ამიტომ წარსულის გაკვეთილების შესწავლა წარმოადგენს ქმედებას მომავლისთვის, რაც მეორე და

ძირითადი მიზანია ჰოლოკოსტის სწავლებისა. ეს რესურსი (მოცემული ნაწილი და გაგრძელებები) ეთმობა ჰოლოკოსტის წინაპირობებისა და მათი გავლენის შესწავლას.

2016 წელს მსოფლიოში ცხოვრობდა, დაახლოებით, 14,5 მილიონი ებრაელი. ეს რიცხვი შეიძლება დიდად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვინაიდან ებრაელი მოსახლეობა, როგორც წესი, კონცენტრირებულია გარკვეულ რეგიონებში, ბევრ მოსწავლეს შეიძლება არ ჰქონოდა მათთან შეხვედრის, მათი ტრადიციებისა და იუდაიზმის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალება. კონტაქტებისა და გაგების ნაკლებობამ, დროთა განმავლობაში, შეიძლება გამოიწვიოს წინასწარი განწყობა, სპეკულაციები და ჭორები, მითები და სტერეოტიპები. მსგავსი სახის უცოდინრობა იწვევს უნდობლობას. არასწორად გაგებული განსხვავებები იწვევს შიშსა და უარყოფას. ამ ყველაფერს შეუძლია შექმნას ნაყოფიერი ნიადაგი იზოლაციისთვის, შეუწყნარებლობისა და სიძულვილისთვის. მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ცოდნის ნაკლებობა და პიროვნული გამოცდილება უფრო სავარაუდოს ხდის სტერეოტიპების გამოყენებას და ცრურწმენების წარმოშობას. უცოდინრობა ხელს უწყობს ებრაელთა, როგორც „უცხოთა“ ჯგუფის აღქმას.

3. რა მიდგომა უნდა განხორციელდეს ჰოლოკოსტის ეფექტიანი სწავლებისთვის?

დღევანდელ სამყაროში ხშირად ვხვდებით უსამართლობის, სტერეოტიპების, ცრურწმენების, დისკრიმინაციის, ადამიანის უფლებათა დარღვევის, პროპაგანდისა და დეზინფორმაციის შემთხვევებს. ჰოლოკოსტის შესახებ მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება ვერ აჩვენებს მოსწავლეებს იმ გზას, რომლითაც თანამედროვე გამოწვევები უნდა გადაილახოს, რათა მომავალში არ განმეორდეს ანალოგიური მოვლენები. ჰოლოკოსტის სწავლების ეფექტიან მიდგომად მიჩნეულია ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც აერთიანებს განათლებას ჰოლოკოსტის შესახებ, განათლებას ადამიანის უფლებების შესახებ და ინტერკულტურულ განათლებას.



სურათი 1.

გარდა ამისა, ინტერდისციპლინური მიდგომა მოიცავს სხვადასხვა საგნის ინტეგრირების შესაძლებლობას, ვინაიდან ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება და ინტერკულტურული განათლება გასცდა ერთი საგნის (მოქალაქეობის) ფარგლებს.

ცნობები ებრაელების კულტურაზე

ებრაელების ცალკე ჯგუფის გაჩენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თარიღდება ძვ.წ.ა. მეორე ათასწლეულით. დღეს ებრაელები წარმოადგენენ ადამიანთა ჰეტეროგენულ ჯგუფს, რომელსაც სხვადასხვა ეროვნული წარმომავლობა და განსხვავებული ფიზიკური მახასიათებლები გააჩნია. ებრაელთა რელიგიურობის ფორმები და ხარისხიც განსხვავებულია.

დღეს სიტყვა "ებრაელი" ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნება ებრაელ ხალხს ან მოექცა იუდეველად. ებრაული რელიგიის მიხედვით, ებრაელობა დედის მეშვეობით გადაიცემა. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ადამიანისთვის სიტყვა "ებრაელი" ნიშნავს არა რელიგიურ, არამედ გარკვეული კულტურისადმი კუთვნილებას.

ებრაელთა გაფანტვა მას შემდეგ დაიწყო, რაც ბაბილონელებმა პირველი ტაძარი დაანგრიეს (თანამედროვე იერუსალიმის ტერიტორია) 586 წ. ძვ. წ.აღ-ით და ეს პროცესი გაგრძელდა რომის იმპერიის ეპოქაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ებრაელი დარჩა თავის რეგიონში, სხვა წარმოშობის ხალხთან ერთად, ბევრი გაიფანტა სხვადასხვა ადგილას. ამ გეოგრაფიული მრავალფეროვნების აღსაწერად დღეს უამრავი გეოგრაფიული დასახელება გამოიყენება.

• **აშკენაზი** არიან ებრაელები, რომლებიც დასახლდნენ ჩრდილოეთ საფრანგეთსა და გერმანიაში (დაახლოებით 800-1000 წწ.), შემდეგ კი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში; ბევრი მათგანი საუბრობდა იდიშზე (ებრაულისა და გერმანულის ნაზავი).

• **სეფარდები** არიან ებრაელები, რომლებიც ჩასახლდნენ ესპანეთსა და პორტუგალიაში; იქიდან განდევნის შემდეგ (ინკვიზიცია XV-XVI სს.) დასახლდნენ ჩრდილოეთ აფრიკასა და ოსმალეთის იმპერიაში. მათი ენა (ლადინო) არის ესპანურის ჰიბრიდი ივრითთან.

• ხშირად გამოიყენება სიტყვა „**მიზრაჰი“** იმ ებრაელთა აღსანიშნავად, რომლებიც არ ეკუთვნიან ზემოაღნიშნულ ჯგუფებს. მათი წინაპრები ძირითადად ახლო აღმოსავლეთში დარჩნენ ან ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში, ან ცენტრალურ აზიაში.

• ცნობილია **ეთიოპიელი ებრაელებიც** როგორც "ბეტა ისრაელი"; მრავალი ათასი ეთიოპელი ებრაელი დღეს ისრაელში ცხოვრობს.

• სხვა ებრაული ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობენ მთელ მსოფლიოში, ინდოეთიდან კანადამდე.

საუკუნეების განმავლობაში რამდენიმე რეგიონის მმართველები იწვევდნენ ებრაელებს თავიანთ სამფლობელოებში დასასახლებლად და ანიჭებდნენ მათ გარკვეული უფლებებს. ეროვნული მთავრობების, ეროვნული კანონმდებლობისა და მოქალაქეობის გაჩენამდე, იმ სახით, როგორც ჩვენ მათ დღეს ვიცნობთ, ებრაელთა ლიდერები ინარჩუნებდნენ ურთიერთობას იმ მონარქებთან, რომლებმაც ისინი თავიანთ მფარველობაში აიყვანეს.

ეროვნული წარმოშობის ენების გარდა, გამაერთიანებელი ენა ებრაელებისთვის ისრაელში და მის ფარგლებს გარეთ იყო იდიში. გამორჩეული კულტურული მიღწევა იყო, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, უძველესი ბიბლიური ენის, ივრითის აღორძინება, როგორც ცოცხალი თანამედროვე ებრაული ენის.

ჰოლოკოსტამდე, რომლის დროსაც ევროპაში 6 მილიონი ებრაელი დაიღუპა, მსოფლიოს ებრაული მოსახლეობა იყო 16,7 მილიონი ადამიანი. 2016 წლისთვის მსოფლიოს ებრაელთა მოსახლეობა 14,4 მილიონამდე აღდგა (მსოფლიოს მოსახლეობის 0,2%-ზე ნაკლები). დღეს ებრაელთა უმეტესობა ისრაელში ცხოვრობს - 6,5 მილიონზე მეტი ადამიანი, ანუ ამ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 75%.

ებრაელების რელიგია არის იუდაიზმი. ის ქრისტიანობასა და ისლამზე ადრე წარმოიშვა და ერთი ღმერთის თაყვანისცემას გულისხმობს. იუდაიზმში არის სხვადასხვა მიმდინარეობა. ებრაელთა შორის არსებობენ ისეთებიც, რომლებიც არცერთ მიმდინარეობას არ ეკუთვნიან.

4. როდის დაიწყო ჰოლოკოსტი?

ჰოლოკოსტი მეორე მსოფლიო ომს უკავშირდება, თუმცა მისი წინაპირობები ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა და განვითარდა.

გააცანით მოსწავლეებს „ცნობები ებრაელების კულტურაზე“ და შემდგომ შესთავაზეთ ჯგუფური აქტივობა, რომელიც გააცნობს მათ ებრაელთა მდგომარეობას სხვადასხვა ქვეყანაში მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე. აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა დაინახონ, რომ მითები და ცრურწმენები იწვევს ადამიანის ღირსებისა და სხვა უფლებების შელახვას.

დავალება პირველი ჯგუფისთვის:

- გაეცანით ტექსტს;
- დაასახელეთ ის პირობები, რომლებიც იწვევდა ებრაელების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას. (***შენიშვნა*** მასწავლებლისთვის: ებრაელთა და ქრისტიანთა სოციალიზაციის ამკრძალავი კანონები; მითები ებრაელების მიერ ქრისტეს მოკვლისა და რიტუალებში ქრისტიანთა სისხლის გამოყენების შესახებ);
- თქვენი აზრით, რა გრძნობას იწვევდა არაებრაულ მოსახლეობაში ებრაელების გეტოში ცხოვრება? (***შენიშვნა*** მასწავლებლისთვის: გაამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ ეს ხელს უწყობდა მოსახლეობას ებრაელების „უცხოდ“ „განსხვავებულად“ აღქმაში);
- თქვენი აზრით, რას განიცდიდნენ ებრაელები საზოგადოებისგან გარიყვისას?
- თქვენი აზრით, რას განიცდიდნენ ებრაელები სინამდვილეს მოკლებული ბრალდებების გამო?

*ებრაელებს დიდი ხნის ისტორია აქვთ ევროპაში; მათ წვლილი შეიტანეს ევროპული კულტურის ყველა ასპექტში. თუმცა არსებობს მათ მიმართ სიძულვილის დიდი ისტორიაც. კიდევ ერთი სიტყვა ამ სიძულვილისთვის არის **ანტისემიტიზმი**. 70 წელს რომაელებმა გაანადგურეს ებრაული ცხოვრების ცენტრი - ტაძარი იერუსალიმში. მათ შეიპყრეს მრავალი ებრაელი, რომელიც აჯანყდა რომაელების წინააღმდეგ, რომლებიც ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყვნენ ხელისუფლებაში. ებრაელები გაიქცნენ ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე ქვეყნებში - თურქეთში, საბერძნეთში, ესპანეთში. ეს იყო ებრაული დიასპორის ჩამოყალიბების დასაწყისი, ებრაელების დასახლება წმინდა მიწის ტერიტორიის გარეთ. დიასპორა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გაფანტვას ან გავრცელებას.*

ევროპაში შუა საუკუნეებში ებრაელებმა შექმნეს საკუთარი თემები; ისინი ცხოვრობდნენ როგორც უმცირესობა, რომელიც გარშემორტყმული იყო ქრისტიანებით. მიუხედავად იმისა, რომ იესო ებრაელი იყო და ქრისტიანობა განვითარდა იუდაიზმის წიაღში, ეკლესია აღშფოთებული იყო ებრაული რწმენით. ზოგიერთ ქვეყანაში მიიღეს კანონები, რომლებიც კრძალავდა ქრისტიანებისა და ებრაელების სოციალიზაციას; ზოგჯერ აიძულებდა ებრაელებს, ეცხოვრათ განცალკევებულ ქუჩებზე, რომლებსაც გეტოებს უწოდებენ. ეს სიძულვილი გამოწვეული იყო ბრალდებებით, რომ ებრაელებმა მოკლეს იესო, თუმცა სინამდვილეში ის რომაელმა გუბერნატორმა გააკრა ჯვარზე. ეს და სხვა ცრუ ბრალდებები, მათ შორის, ებრაელთა სავარაუდო საჭიროება, ჰქონოდათ ქრისტიანული სისხლი რიტუალებისთვის, აძლიერებდა მრავალსაუკუნოვან ძალადობას ებრაელების წინააღმდეგ.

დავალება მეორე ჯგუფისთვის

- გაეცანით ტექსტს;
- რა როლს ასრულებს საზოგადოებაში სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება?
- რა მოიტანა ესპანეთში ინკვიზიციის მიერ მუსლიმებისა და ებრაელების დევნამ? (კულტურული რეგრესი)

ადრეულ შუა საუკუნეებში ბევრი ებრაელი აღმოჩნდა ესპანეთში, სადაც ქრისტიანი მმართველები სულ უფრო მეტად ზღუდავდნენ მათ თავისუფლებას. მდგომარეობა გაუმჯობესდა, როცა მუსლიმები ჩრდილოეთ აფრიკიდან 711 წელს შევიდნენ ესპანეთში და აიღეს ძალაუფლება. მომდევნო საუკუნეებში დამკვიდრდა მდიდარი კულტურა მათი მმართველობის ქვეშ. ესპანეთის ქალაქებში აშენდა ულამაზესი სასახლეები. კორდობა გახდა ყველაზე თანამედროვე ქალაქი ევროპაში, ქუჩებში განათებით, წყალსადენით და საზოგადოებრივი აბანოებით. იქ შეხვდებოდით მხატვრებსა და მეცნიერებს მთელი მსოფლიოდან, მათ შორის მუსლიმებს, ებრაელებსა და ქრისტიანებს. ამ ტოლერანტობის კლიმატში კითხულობდნენ და თარგმნიდნენ არაბულიდან, ებრაულიდან, ლათინურიდან, ბერძნულიდან და პირიქით. თორები, ბიბლიები და ყურანი მზადდებოდა დიდი სიფრთხილით. თუ ვინმეს სჭირდებოდა ოპერაცია, კორდობა საუკეთესო ადგილი იყო.

ადრეულ შუა საუკუნეებში ებრაელთა თემები ყვაოდნენ დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. მათ ჰყავდათ ვაჭრები, ექიმები, აფთიაქარები, ვერცხლისა და ოქროს მჭედლები. თუმცა არ ჰქონდათ უფლება, ყოფილიყვნენ დალაქები, დურგლები, მჭედლები და მცხობელები; მათ ჰყავდათ საკუთარი გილდიები.

1100 წლის შემდეგ ესპანეთში ისლამური მმართველები ნაკლებად ტოლერანტულები გახდნენ სხვა სარწმუნოების ხალხთა მიმართ. ამავე დროს, ქრისტიანმა ლიდერებმა მოიპოვეს კონტროლი უფრო და უფრო მეტ რეგიონზე. ბოლოს და ბოლოს, მთელი ესპანეთი ქრისტიანული გახდა. ინკვიზიციის დროს ებრაელებს და მუსლიმებს დევნიდნენ და აიძულებდნენ ქრისტიანობა მიეღოთ. 1492 წელს ყველა ებრაელსა და მუსლიმს უნდა დაეტოვებინა ქვეყანა, მათაც კი, ვინც ქრისტიანობა მიიღო. ებრაელთა უმეტესობა გაიქცა ჩრდილოეთ აფრიკაში, საბერძნეთსა და თურქეთში. სხვები წავიდნენ იტალიაში, აღმოსავლეთ ევროპაში ან ნიდერლანდებში. კორდობის სინაგოგა გახდა საავადმყოფო, მეჩეთი კი საკათედრო ტაძრად იქცა.

დავალება მესამე ჯგუფისთვის

- გაეცანით ტექსტს;
- მოძებნეთ მითი/ცრურწმენა ებრაელების შესახებ.
- დაასახელეთ ის ძირითადი უფლებები, რომლებიც ირღვეოდა ებრაელების მიმართ (სიცოცხლის უფლება, ღირსების შელახვა, გადაადგილების უფლება).
- რომელ ქვეყნებში ცხოვრობდნენ ებრაელები შედარებით მშვიდად მე-16 - მე-18 საუკუნეებში?
- რომელ ქვეყნებში განიცდიდნენ ებრაელები განსაკუთრებულ დისკრიმინაციას?

- თქვენი აზრით, რა სჭირდება ნებისმიერ საზოგადოებრივ (ეთნიკურ, რელიგიურ, ასაკობრივ და ა.შ) ჯგუფს განვითარებისთვის?

განსაკუთრებით გართულდა ებრაელთა ცხოვრება ქრისტიანული ჯვაროსნული ლაშქრობების გამო.

დაახლოებით 1100 წელს ქრისტიანთა ჯარებმა გადალახეს ევროპა. რომის პაპმა მათ დაავალა მუსლიმების იერუსალიმიდან გაძევება. გზად ისინი თავს ესხმოდნენ ნებისმიერ „ურწმუნოს“. ევროპაში მათი მთავარი სამიზნე ებრაელები იყვნენ. ჯვაროსანთა არმიამ მოიცვა ებრაული თემები - ძარცვავდნენ, აუპატიურებდნენ და კლავდნენ მათ.

მე-14 საუკუნეში შავმა ჭირმა გაანადგურა მთელი ევროპა. ვერავინ ხსნიდა, რატომ დაავადდა ამდენი ადამიანი. შიში, ცრურწმენა და უმეცრება აიძულებდათ ვინმესთვის დაებრალებინათ ეს და განტევების ვაცად ებრაელები იქცნენ. ეს მოსახერხებელი იყო მათ შესახებ უკვე არსებული მითებისა და სტერეოტიპების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელებიც დაიღუპნენ ჭირისგან, მათ ადანაშაულებდნენ ჭების მოწამვლასა და დაავადების გავრცელებაში. ებრაელებს ცუდად ეპყრობოდნენ და კოცონზე წვავდნენ. სამოცზე მეტი ებრაული თემი დაიწვა, მცხოვრებლები დახოცეს. დევნამ ბევრი ებრაელი მაწანწალად და მათხოვრად აქცია.

ჯვაროსნული ლაშქრობებისა და დასავლეთ ევროპაში დევნის შემდეგ, ბევრმა ებრაელმა თავი შეაფარა პოლონეთისა და ლიტვის თანამეგობრობას, სადაც მმართველებმა მათ მიანიჭეს რელიგიური, კულტურული და, დიდწილად, იურიდიული ავტონომია. მე-16 საუკუნეში ებრაული საპარლამენტო ორგანო შეიქმნა ლუბლინში, რომელიც გახდა პოლონელ-ლიტველ ებრაელთა ავტონომიური წარმომადგენლობა. მე-18 საუკუნეში პოლონურ-ლიტვური ებრაული საზოგადოება ყველაზე დიდი იყო მსოფლიოში. აყვავდა რელიგიური და ეკონომიკური ცხოვრება.

მაგრამ მეხსიერებაში არსებობდა დრო, რომელიც მოწმე იყო ებრაელთა უდიდესი ტრაგედიისა. 1648 წელს უკრაინაში, პოლონელი ფეოდალების წინააღმდეგ ხმელნიცკის აჯანყების დროს, ათიათასობით ებრაელი მოკლეს კაზაკებმა. თუმცა, ებრაული თემები გადარჩნენ აღმოსავლეთ ევროპაში. მე-18 საუკუნის ბოლოს, პოლონეთისა და ლიტვის გაყოფის შემდეგ, ლიტველ ებრაელთა უმეტესობა ცარისტული რუსეთის ქვეშევრდომი გახდა. ამ რეჟიმის პირობებში ებრაელები იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ განსაზღვრულ ადგილებში, კონკრეტულ ტერიტორიებზე და არ ჰქონდათ თავისუფალი გადაადგილების საშუალება ქვეყნის მასშტაბით.

დავალება მეოთხე ჯგუფისთვის

- გაეცანით ტექსტს;
- რით დაეხმარნენ ევროპის ქალაქებს მოდერნიზებისას ებრაელები? (**შენიშვნა** მასწავლებლისთვის: მაგალითად, ებრაელებს ჰქონდათ გამოცდილება ფულად ურთიერთობებში, რაც მათ გამოიყენეს საბანკო სექტორის განვითარებისთვის)
- მოძებნეთ მითები/ცრუ შეხედულებები; (**შენიშვნა** მასწავლებლისთვის: მსოფლიო ბატონობის სურვილი, 1873 წლის კრიზისში დადანაშაულება)

- რა იყო ალფრედ დრეიფუსის გასამართლების მთავარი მიზეზი?

- რა განცდებს იწვევდა ებრაელებში მოძრაობა ებრაელებისთვის სხვებთან თანაბარი უფლებების მინიჭების წინააღმდეგ?
- რაზე მეტყველებს ინტელექტუალების ფრონტის შექმნა, რომლებიც ღიად უპირისპირდებოდნენ ანტისემიტიზმს?

მე-19 საუკუნეში გავრცელებულ იდეალებს შორის იყო თავისუფლება და თანასწორობა. ამ დროს ებრაელებსაც მიეცათ თანაბარი უფლებები. გილდიები აღარ იყო მხოლოდ ქრისტიანებისთვის. გეტოები გაუქმდა. ებრაელებმა მიიღეს უნივერსიტეტში სწავლის უფლება. ებრაელებმა პირველად შეძლეს აქტიური როლის შესრულება საზოგადოებაში, წვლილი შეიტანეს ევროპის მოდერნიზაციაში. ევროპის ქალაქებმა დიდად ისარგებლეს ებრაელი მოქალაქეების არსებობით, რომლებმაც დიდი დახმარება და ძალისხმევა გასწიეს ამ ქალაქების ჩამოყალიბებისთვის.

საფრანგეთის რევოლუციაში გავრცელებული თავისუფლებისა და თანასწორობის იდეალები სწრაფად გავრცელდა ევროპის მთელ ტერიტორიაზე. მოქალაქეობის საერო ცნებამ, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდის უფლებებს, შეცვალა ებრაელების ცხოვრება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელებმა მიაღწიეს თანაბარ უფლებებს ბევრ ქვეყანაში, დისკრიმინაცია და ძველი ცრურწმენები არ დასრულებულა. მე-19 საუკუნეში ფსევდომეცნიერული წიგნებით ვრცელდებოდა იდეა, რომ ებრაელები არასრულფასოვანი რასაა, რომელსაც მსოფლიოს მართვა სურს. *დაახლოებით 1880 წელს, ებრაელთა ამ სიძულვილს სპეციალური სახელიც კი დაარქვეს გერმანიაში:* ***ანტისემიტიზმი****.*

მაგალითად, ანტისემიტური მოძრაობა ერქვა გერმანულ ზეწოლის ჯგუფს ებრაელების წინააღმდეგ. მისი მიმდევრები ეწინააღმდეგებოდნენ ებრაელებისთვის თანაბარი უფლებების მინიჭებას და ებრაელებს ადანაშაულებდნენ 1873 წელს წარმოქმნილ ეკონომიკურ კრიზისში. მათი აზრით, ებრაელები იყვნენ გერმანელების უდიდესი მტრები. ***1894 წელს კაპიტანი ალფრედ დრეიფუსი გაასამართლეს საფრანგეთში.*** *მას, ცრუ მტკიცებულებების საფუძველზე, ბრალი ედებოდა საფრანგეთის არმიის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის გადაცემაში გერმანიის იმპერიისათვის. მისი სასამართლო პროცესის დროს გაირკვა, რომ ბრალდების მოტივი მისი ებრაული წარმოშობა იყო. სასამართლო პროცესმა საფრანგეთში ანტისემიტიზმის ზრდა გამოიწვია, მაგრამ იმავდროულად შეიქმნა ინტელექტუალების ფრონტი, რომლებიც ღიად ეწინააღმდეგებოდნენ ანტისემიტიზმს. დრეიფუსის განაჩენის გამოტანიდან ორი წლის შემდეგ, ფრანგმა მწერალმა ემილ ზოლამ გამოაქვეყნა ღია წერილი სახელწოდებით "J'accuse" (მე ვადანაშაულებ), რამაც გამოიწვია ახალი სასამართლო პროცესი 1899 წელს. სასამართლომ, უფრო მცირე სასჯელის დაწესების შემდეგ, დრეიფუსი შეიწყალა და მოგვიანებით, 1906 წელს, მისი სრული რეაბილიტაცია მოახდინა. ანტისემიტიზმმა, როგორც ანტითანამედროვე პოლიტიკურმა მოძრაობამ, მნიშვნელოვანი დაცემა განიცადა საფრანგეთში, მაგრამ მაინც განაგრძო არსებობა.*

ამასობაში, მე-19 საუკუნის ბოლოს, აღმოსავლეთ ევროპაში ებრაელებისთვის ცხოვრება სულ უფრო რთული ხდებოდა. 1881 წელს, რუსეთის მეფე ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ, ანტიებრაული კამპანიები გაძლიერდა. მკვლელობაში ებრაელებს ადანაშაულებდნენ. მალე რუსეთის იმპერიაში მათი რეგულარული დარბევები დაიწყო. მეფის ხელისუფლების

ორგანიზებით ხდებოდა ფართომასშტაბიანი თავდასხმები ებრაელებზე და მათ ქონებაზე. ებრაელები დახოცეს ან გაძევეს. ბევრი ებრაელი დასავლეთისკენ წავიდა, ბევრი - შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. სხვები დარჩნენ ევროპის პორტებში ან გადავიდნენ პალესტინის ტერიტორიაზე. საბოლოოდ ორი მილიონი ებრაელი რუსეთიდან წავიდა. 1880-1917 წლებში მათ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და შეერთებულ შტატებში ახალი ცხოვრება დაიწყეს.

მე-20 საუკუნის მიჯნაზე სიონისტური[1] მოძრაობა გაჩნდა. ბევრი ებრაული სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაცია გააქტიურდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. დაახლოებით 1900 წელს რუსეთში გამოიცა ანტისემიტური წიგნი „სიონის უხუცესთა ოქმები“. ეს ყალბი დოკუმენტი ამტკიცებდა, რომ ებრაელები მსოფლიოს ხელში ჩაგდებას გეგმავდნენ. წიგნი მრავალ ენაზე გამოიცა და ძალიან პოპულარული გახდა. მისი ერთ-ერთი მკითხველი იყო ადოლფ ჰიტლერი და მან ეს მითი და მრავალი სხვა ნეგატიური იდეა ებრაელების შესახებ თავის პოლიტიკურ პროგრამაში შეიტანა.

ნამუშევრის პრეზენტაციისას მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მსჯელობა.

დავალების შეჯამებისას გამოყავით მითები და ცრურწმენები და ტოლერანტობის მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში. აღნიშნეთ, რომ ებრაელთა დევნა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში ხორციელდებოდა და მისი ძირითადი საფუძველი იყო სტერეოტიპები და ცრურწმენები. ხაზი გაუსვით ადამიანის ღირსების შელახვასა და სხვა უფლებების დარღვევას, აგრეთვე, გაუნათლებლობის როლს ცრუ რწმენებისა და მითების წარმოშობის საქმეში.

საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მოსწავლეებს მიუთითეთ მასალა:

ელდარ მამისთვალაშვილი

ქართველ ებრაელთა ისტორია http://www.georgianjews.org/stat.php?id=113&lang=gr

მასალის გაცნობის შემდეგ გაკვეთილზე მოსწავლეებს შეუძლიათ იმსჯელონ, თუ რატომ არ იყო ანტისემიტიზმი საქართველოში, რა შედეგები მოიტანა კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ.

დამატებითი ინფორმაცია მოსწავლეებმა შეიძლება მიიღონ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში.

[1] სიონიზმი - ტერმინი აღნიშნავს პალესტინაში ებრაელთა დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით, XIX საუკუნის დასასრულს აღმოცენებულ ებრაული პოლიტიკური აღორძინების მოძრაობას.